პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 1986 წ.
№ 208 (2369) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ექსპრეს-ინფორმაცია

⊙ თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდი ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ბულგარეთში გაემგზავრა. დინამოელები ამ ქვეყანაში დარჩებიან 8 ნოემბრამდე.

⊙ სსრ კავშირის მოზარდ წყალბურთელთა ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მიწვეულია საქართველოს 6 წარმომადგენელი. ნაკრები სოხუმში ემზადება.

⊙ ცნობილი გახდა, რომ მომავალში ჭადრაკს აღარ შეიტანენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების პროგრამაში. ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის სხდომაზე თავისი აზრი გამოთქვა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა.

⊙ ხვალ ხობში იხსნება საკავშირო თათბირ-სემინარი, რომელიც განიხილავს საკითხს „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1986 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კულტურულ-სპორტული კომპლექსების მუშაობის სრულყოფის შესახებ".

თათბირ-სემინარი 2 ნოემბრამდე გასტანს.



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტულ ბაზაზე მიმდინარეობს ღია პირველობა მშვილდოსნობაში ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის სპორტსმენთა ორი კოლექტივის, სპორტსაზოგადოება „ზენიტის", „შრომითი რეზერვების", „სპარტაკისა" და კისლოვოდსკის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. სამი დღის შემდეგ პირად პირველობაში ქალთა შორის ლიდერობდა ნანული რუბაშვილი (1667 ქულა), ვაჟთა შორის სვიჩა ქარჩაიძე (1664 ქულა). გუნდურ ასპარეზობაში ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის პირველი და მეორე გუნდები დაწინაურდნენ (5558 ქულა). მათ კვალში მიჰყვებიან ჩვენი სტუმრები კისლოვოდსკელი მშვილდოსნები (5268 ქულა).

ს უ რ ა თ ზ ე: მშვილდოსნები ასპარეზობის დროს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ტექსტი და ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური უნივერსიადა-86

# სპორტსაზოგადოებებს აღარ ზღუდავენ

**წინათ** მხოლოდ სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" წევრებს ეძლეოდათ თავიანთი უმაღლესი სასწავლებლის სპორტული ღირსების დაცვის საშუალება, დანარჩენები კი იჩაგრებოდნენ, მაგრამ ვითარება შეიცვალა და ახლა სტუდენტთა რესპუბლიკურ უნივერსიადებზე ყველა სპორტსმენი გამოდის, მიუხედავად იმისა, რომელი სპორტსაზოგადოების წევრია, სწორედ ამან გახადა უნივერსიადა პრესტიჟული. მომრავლდა ასპარეზობის მონაწილე მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა და გუნდების რაოდენობა, გაიზარდა კონკურენცია და გამარჯვებაც გაცილებით ძნელი გახდა.

წლევანდელი უნივერსიადა, რომელიც საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობას ეძღვნება, სასწავლო წლის დაწყებისთანავე დაიწყო. I ეტაპზე მასობრივი შეჯიბრებები ჩატარდა სასწავლო ჯგუფებში, კურსებზე, ფაკულტეტებზე, რამდენიმე დღის წინათ კი პირველი ფინალური ბრძოლებიც შედგა.

უნივერსიადის პროგრამაში სპორტის 20 სახეობაა. საბოლოო გამარჯვებული ნოემბრის ბოლოს გამოვლინდება, ჩვენ დროდადრო გაცნობებთ შეჯიბრებათა მსვლელობის შესახებ.

• • •

ფინალური ბრძოლების სარბიელზე, როგორც ვიუწყებოდით, პირველები წყალბურთელები გამოვიდნენ. თბილისში, განათლების სამმართველოს წყალბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის საცურაო აუზში (საირმის ქუჩაზე) გამართულ შეჯიბრებაში ჩაებნენ საქართველოს პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, სასოფლო-სამეურნეო, ქუთაისის პოლიტექნიკური, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდები. შეჯიბრებას თავი აარიდეს ბათუმელმა და სოხუმელმა სტუდენტებმა, რომლებსაც ასე თუ ისე მაინც შეეძლოთ გუნდების დაკომპლექტება. თუმცა, უნივერსიადაზე ექვსი გუნდის გამოსვლაც არ არის ურიგო საქმე.

შეჯიბრების მსვლელობამ გვიჩვენა, რომ თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები აშკარად სჯობნიან დანარჩენებს, რომელთა დამარცხება მათ არ გასჭირვებიათ. მოხდა ისე, რომ ამ ორმა გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვა და ასპარეზობის ბოლო დღეს ერთმანეთის პირისპირ დადგა. ყველა დაძაბულ, საინტერესო ბრძოლას ველოდით, მაგრამ იმედი თითქოს გაგვიცრუვდა. უნივერსიტეტელები უკვე მეორე პერიოდში ანგარიშით 10:4 იგებდნენ შეხვედრას, ასე რომ, არც მეტოქეებს, არც გულშემატკივრებს და არც სპეციალისტებს არ უჭირდათ გამარჯვებულის გამოცნობა. მაგრამ მოხდა, ის რასაც სასწაულს არქმევენ. მოულოდნელად მეტოქეები სრულიად გარდაისახნენ, პოლიტექნიკოსები ზედიზედ ლაშქრავდნენ უნივერსიტეტელთა კარს და შეხვედრა ისე დამთავრდა, უნივერსიტეტელებმა ერთი საპასუხო ბურთის გატანაც ვერ მოახერხეს. საბოლოოდ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა გაიმარჯვა — 11:10. გუნდის ღირსებას იცავდნენ მ. სამადბეგიშვილი, ზ. გიორგაძე, მ. კალაურიძე, გ. სურგულაძე, გ. ცაგარეიშვილი, მ. ჯოჯაშვილი, ა. ლანჩავა, დ. რამიშვილი, მ. მამაჯანაშვილი, ლ. შალაშვილი, რ. ტეკუა და ვ. ფრუიძე. განსაკუთრებით კარგად ითამაშა თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრმა, საკავშირო სპარტაკიადის მეორე პრიზიორმა დ. რამიშვილმა, რომლის იერიშებსაც მეტოქეები წინ ვერ აღუდგნენ.

მესამე ადგილი ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

• • •

ასპარეზობა დაამთავრეს ჩოგბურთელებმაც, რომლებიც საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე გუნდურ პირველობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შეჯიბრების მონაწილე გუნდები სიძლიერის მიხედვით სამ ჯგუფად დაჰყვეს. პირველში მოხვდნენ საქართველოს პოლიტექნიკური, ფიზკულტურის, თბილისის სამედიცინო და უნივერსიტეტის გუნდები, მეორეში — ქუთაისის პოლიტექნიკური და თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივები, ხოლო მესამეში — თბილისის უცხო ენების, თეატრალური ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები.

ბუნებრივია, ყველაზე საინტერესო იყო I ჯგუფის გუნდების ასპარეზობა. აქ უძლიერესი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი აღმოჩნდა (ქალები — ე. კვარაცხელია, რ. გოგიჩაიშვილი, დ. ბაკში და ნ. კერესელიძე, ვაჟები — დ. კვარაცხელია, ა. კუპრეიშვილი, გ. ბრეგაძე და დ. ლოდინოვი). მეორე ადგილი წილად ხვდათ უნივერსიტეტელებს, მესამე ადგილზე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები გავიდნენ.

მეორე ჯგუფში უძლიერესი იყო ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, მესამე ჯგუფში კი ყველას უცხო ენების ინსტიტუტის სპორტსმენებმა აჯობეს.

თავთავიანთ გუნდებს ყველაზე მეტი გამარჯვებები მოუტანეს ვლადიმერ გაბრიჩიძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), დავით კვარაცხელიამ და ნუგზარ გოგიძემ (ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

ავთანდილ ჰაჯიშელი.

## კრივის ფედერაციის სხდომა

**გუშინ** გაიმართა საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა. რესპუბლიკის კრივის ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ევროპის ექსჩემპიონი, სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით კვაჭაძე.

## „იმედის" თასზე

ქ. ნევინომისკში გრძელდება „იმედის" თასის საკავშირო ფინალური გათამაშება ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის.

I ტურში, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს გუნდის შეხვედრა „შრომითი რეზერვების". ნაკრებთან დამთავრდა ფრედ — 3:3. ამავე დღეს მოსკოველებმა ანგარიშით 4:0 მოუგეს აზერბაიჯანის გუნდს, ხოლო რსფსრ-ს ნაკრებმა — უკრაინელებს 2:1.

II ტურში საქართველოს ფეხბურთელებს მეტად ძნელი შეხვედრა ჰქონდათ მოსკოვის გუნდთან. პირველი ტაიმი მოიგეს მოსკოველებმა — 1:0, შესვენების შემდეგ კი საქართველოს გუნდმა ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ გადამწყვეტი გოლიც გაიტანა და გაიმარჯვა — 2:1. ამ ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „შრომითი რეზერვები" — უკრაინა — 1:0, რსფსრ — აზერბაიჯანი — 2:1.

III ტურში, რომელიც დღეს გაიმართება, საქართველოს ნაკრები აზერბაიჯანის გუნდს შეხვდება.

# მარცხი ყველას ერთნაირად არ მიეტევება

**ნებისმიერი** საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც საქართველოს წარგზავნილები ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავენ, გულშემატკივართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. არცაა გასაკვირი, ხალხს ეამაყება მათ მიერ მოპოვებული წარმატებები.

ამ დღეებში სპორტის გულშემატკივართა გულისყური ბუდაპეშტისაკენ იყო მიპყრობილი, სადაც თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა, უკვე ასპარეზობის დაწყებამდე გახდა ცნობილი, რომ ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში ხაბელოვი, მუსოიანი და აფხაზავა მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ამ ფაქტმა გული დაგვწყვიტა, მაგრამ უფრო იმან შეგვაშფოთა, რომ ვერც გობეჯიშვილმა და გედეხაურმა გაგვიმართლეს იმედები.

ჩვენი გულშემატკივარი სულსწრაფი არაა, არ აჩქარდება, მავანისგან იმას არ მოითხოვს, რაც მის ძალ-ღონესა და უნარს აღემატება, მაგრამ იმის მიმართ, ვინც გულს დაიარხეინებს და ნიჭს არ გამოიყენებს, მეტისმეტად მკაცრია.

ჩემპიონატში დავით გობეჯიშვილის გამოსვლის საბოლოო შედეგი შეიტყვეს თუ არა, გულშემატკივრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს. ახლა ის დრო არ არის, ვინმეს რამე დაუმალო, ავი კარგად მოაჩვენო ან პირიქით. ხალხი ყველაფერს ხედავს და მტკივნეულადაც განიცდის, რაც ჩვენს საერთო ღირსებას ეხება, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ჯერ ის ვთქვათ, რომ დიდი სპორტსმენი მარტო თავისთავს და იმ წრეს არ ეკუთვნის, რომელშიც იგი ტრიალებს. განა ბუნებრივი ტალანტით მადლცხებული, ხალასი ნიჭით დაჯილდოებული ათლეტი, პირველ ყოვლისა, თუკი ეს შეუძლია, მშობლიური ხალხის გასახარად არ უნდა იღვწოდეს? ყველამ კარგად იცის, რომ დავით გობეჯიშვილს ბუნებით დაჰყვა თავისი ხალხისთვის დამახასიათებელი საუკეთესო ფიზიკური მონაცემები, დიახ, მძიმე წონაში დიდი ხანია ასეთი შესაძლებლობების ფალავანი არ გვყოლია. ამას დაუმატეთ ის, რომ იგი ახალგაზრდაა, გაითვალისწინეთ წვრთნაში თანამედროვე მეცნიერული მიღწევები და ადვილად წარმოიდგენთ იმ პერსპექტივას, რასაც გობეჯიშვილის სახელს უკავშირებდნენ სპეციალისტები და გულშემატკივრები.

ახლა გაწბილებული თაყვანისმცემლები განუწყვეტლივ რეკავენ რედაქციაში — ყველას აინტერესებს რა მოხდა, რატომ იხევს უკან დავით გობეჯიშვილი. დავითს ადრეც წაუგია (ეს სიტყვა გულშემატკივართა ლექსიკონიდან ავიღეთ. მოგეხსენებათ, ისინი გობეჯიშვილის ყველა შედეგს, გარდა გამარჯვებისა, წაგებად მიიჩნევენ), მაგრამ განგაში არავის აუტეხია. იმედი ჰქონდათ, რომ ჩავარდნა დროებითი იყო. სამწუხაროდ, ეს „დროებითი ჩავარდნები" გახშირდა და...

როგორც ვთქვით, ხალხს ვერაფერს გამოაპარებ. გაინტერესებთ მათი აზრი? აი, რას ამბობენ ისინი: „დავით გობეჯიშვილს ძალიან ათამამებენ, ივიწყებენ პედაგოგიურ პრინციპებს, ის ჯერ ახალგაზრდაა და ასეთმა გათამამებამ შეიძლება გააყოყოჩოს", „ვოლგით სეირნობამ, კინოში როლის შეთავაზებამ, გადამეტებულმა ყურადღებამ დავითს ჭიდაობა ხომ არ დაავიწყა?", „გობეჯიშვილი იმდენს და ისეთი გულისყურით აღარ ვარჯიშობს, როგორც ადრე..." და ა. შ.

ბუდაპეშტში გობეჯიშვილის ფინალურ ასპარეზობას ყველა მოუთმენლად მოელოდა, მაგრამ ტელევიზორის ეკრანზეც ცხადად ჩანდა, როგორ უსუსურად გამოიყურებოდა ჩვენი ფალავანი — უხალისოდ და უცეცხლოდ ჭიდაობდა. გულშემატკივარი, ცხადია, გულნატკენი არ დარჩებოდა, გობეჯიშვილს ვაჟკაცურ და რაინდულ ბრძოლაში რომ წაეგო ფინალური ბრძოლა. დიახ, ჩვენმა ფალავანმა მეტი ვერ შეძლო. სპორტულ შედეგში გადაიზარდა და გამოვლინდა ის, რაც გულგრილობით და წაყრუებით წვეთწვეთობით დაგროვდა. ამ სიტყვებს მხოლოდ სპორტსმენის მისამართით არ ვამბობთ და მხოლოდ სპორტსმენს არ ვადანაშაულებთ. მის წარუმატებლობაში ბრალი მიუძღვით მათაც, ვინც ფალავანს უძლეველობის ილუზიებს უქმნის, ნიჭიერებისა და თავდადებული შრომის შერწყმის აუცილებლობას აიწყებს. თუ ეს ასე არ არის, მაშ ვინ ან რად შეთხზა „ურყევი" აზრი იმის შესახებ, რომ გობეჯიშვილს სულ მცირე 10 წელიწადს მაინც ვერავინ დაჯაბნის დედამიწის ზურგზეო?

დიახ, მეტი თავდაჯერა გვმართებს!

გულშემატკივრები გვთხოვენ დაწვრილებით ვუამბოთ იმის შესახებ, თუ რა მოხდა ბუდაპეშტში. ჩვენი ფალავნები, როცა შინ ტრიუმფით ბრუნდებიან, რედაქციაში დაუყოვნებლივ გვაკითხავენ, თუ არა და, სათოფეზე არ გვეკარებიან. ალბათ მიხვდებით რატომაც.

დავით გობეჯიშვილი უკვე დაბრუნდა მსოფლიო ჩემპიონატიდან. მას ქალაქში ხედავს ხალხი, ხედავენ, მაგრამ მის გამომეტყველებაში და ქცევებში ვერ ამჩნევენ მარცხით გამოწვეულ სინანულს, განცდებს. აქაოდა, თითქოს არაფერი მომხდარაო. ეს გულშემატკივრებს კიდევ უფრო აწუხებს და აშფოთებს.

დაფიქრების დრო ხომ არ დადგა? მარცხი და გულგრილობა ყველას ერთნაირად როდი მიეტევება!

# გამარჯვებით დაიწყეს

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო I ლიგის ფრენბურთელ ქალთა 1987 წლის საკავშირო პირველობის შესარჩევი ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ჩვენს ქალაქში ათმა კოლექტივმა მოიყარა თავი. ეს გუნდებია: „მეხნატი" (დუშანბე), „ბურევესტნიკი" (ფრუნზე), ადკ (ალმა-ათა), „ბურევესტნიკი" (ივანოვო), „სპარტაკი" (ერევანი), „ტეხნოპრიბორი" (მოგილიოვი), უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლა (აშხაბადი), „ბურევესტნიკი" (ყარაგანდა), „კიროვეცი" (ნოვოსიბირსკი) და „ბურევესტნიკი" (თბილისი).

ასპარეზობის პირველ დღეს თბილისელი ფრენბურთელები აშხაბადელ სპორტსმენებს შეხვდნენ და დამაჯერებლად დაამარცხეს მეტოქე — 3:0. გაიმართა კიდევ სამი შეხვედრა: „ბურევესტნიკი" (ფრუნზე) — „სპარტაკი" (ერევანი) 3:0, ადკ (ალმა-ათა) — „ბურევესტნიკი" (ივანოვო) 3:1, „ბურევესტნიკი" (ყარაგანდა) — „კიროვეცი" (ნოვოსიბირსკი) 0:3.

დუშანბის „მეხნატი" და მოგილიოვის „ტეხნოპრიბორი" ამ დღეს ისვენებდნენ.

ბავშვთა სპორტი — რეზერვი

# საზრუნავი საერთოა

როგორც ადრე ვიუწყებოდით, საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ, გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის", „ნორჩი ლენინელისა" და „ლელოს" სარედაქციო კოლეგიებმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება რესპუბლიკაში მოსწავლეთა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

რედაქციაში მოდის წერილები, რომლითაც ირკვევა, რომ ადგილებზე ყველგან ერთნაირად როდი გაიგეს ამ მასობრივი ღონისძიების მიზანი და მნიშვნელობა, მოდის აგრეთვე შეკითხვები შეჯიბრებების ჩატარების, სპორტული ბაზების გამოყოფის შესახებ. ყველა ეს საკითხი კონკრეტულად და მკაფიოდაა გამოკვეთილი დებულებაში. ორგანიზატორებს შევახსენებთ: ზემოაღნიშნული ორგანიზაციების ერთობლივმა გადაწყვეტილებამ ხელი უნდა შეუწყოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში სასკოლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გააქტიურებას. მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნიშანზე მოსწავლეთა მომზადებას და „იმედის სტარტების" შეჯიბრებებში მათ ჩაბმას, სპორტული და მოძრავი თამაშების ფართოდ დანერგვას, ნიჭიერი მოზარდების გამოვლენას.

ეს ღონისძიებები 1986-1990 წლებში ძირითადად ჩატარდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სტაბილური კალენდრის მიხედვით. (მასობრივი ღონისძიებების დებულებები გაზეთებში უკვე გამოქვეყნდა, მძლეოსნობაში შეჯიბრებების დებულება იხილეთ ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 11 ოქტომბრის ნომერში).

რაც შეეხება ფინანსურ ხარჯებს, იგი უნდა გაიღოს განათლების სამინისტრომ. საქართველოს პროფსაბჭო გაიღებს სპორტული ბაზების იჯარის, სასკოლო ბაზების კეთილმოწყობისა და გამარჯვებულთა დაჯილდოების ხარჯებს. მსაჯებით უზრუნველყოფა სპორტსახკომს ევალება, შეჯიბრებების საზეიმო გახსნა, დახურვა და დაჯილდოების ცერემონიალის ორგანიზება — საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს.

შეგახსენებთ, რომ მთავარ მსაჯებად დამტკიცებულნი არიან: მძლეოსნობაში — ვიქტორ სანეევი, ფეხბურთში მიხეილ მესხი, კალათბურთში — ოთარ ქორქია, ქართულ ჭიდაობაში — ვახტანგ ბალავაძე, „მხიარულ სტარტებში" — ბორის პაიჭაძე.

განათლების, პროფკავშირის, კომკავშირის, ფიზკულტურისა და სპორტის ადგილობრივ ორგანიზაციებს ევალებათ მკაცრი ზომები მიიღონ მუშაობაში ზერელობის, ფორმალიზმის, სიყალბის ყოველგვარი მცდელობის აღმოსაფხვრელად, შეჯიბრებები ჩაატარონ ერთიანი ძალებით და მაღალორგანიზაციულ დონეზე. ფართოდ გამოიყენონ საშეფო ორგანიზაციების, პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტიური შესაძლებლობები.

როგორ ვეგებებით ზამთარს?

## SOS არ თბება ხუთი დარბაზი

წულუკიძის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი გაცნობებთ, რომ წულუკიძის რაიონში 19 სპორტული დარბაზიდან მხოლოდ 14 სპორტულ დარბაზს ექნება გათბობა. 5 სპორტულ დარბაზში, მართალია, დამონტაჟებულია გათბობის სისტემა, მაგრამ მისი ამოქმედება არ ხერხდება. ასეთ ობიექტებს შორისაა სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმის სტანდარტული ზომის სპორტული დარბაზებიც.

**პ. გეგუჩაძე,**
**წულუკიძის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.**

რედაქციისაგან: პ. გეგუჩაძის გულახდილობა მისასალმებელია, მაგრამ პოზიციას ვერ მოვუწონებთ. ვინ, თუ არა სწორედ სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ უნდა ჩამოკრას ზარებს, რომ რაიონში ხუთი (?!) სპორტული დარბაზი არ თბება? „ლელოში" გამოგზავნილ ინფორმაციაში აშკარად იგრძნობა საგანგაშო ფაქტისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება. თავმჯდომარე არ ასახელებს იმათ გვარებს და მისამართებს, ვინც თავის დროზე დაუშვა გულგრილობა, არ გვწერს თავად ვის მიმართა, ვის წინაშე დასვა საკითხი და ა. შ. ამგვარი „ცივი" პასუხით დარბაზები, ცხადია, არ გათბება.

პასუხს სახალხო დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომიდან ველით.



# რა ფასი აქვს ასეთ შეჯიბრებას?..

**სპორტული შეჯიბრება რომ სასწავლო-საწვრთნელი პროცესის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, ცნობილი ჭეშმარიტებაა. ამასთან, შეჯიბრება ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას, მოზარდი თაობის სპორტისკენ მიზიდვას და ცალკეული სახეობების შემდგომ განვითარებას ისახავს მიზნად.**

1985 წლიდან მოყოლებული ხელბურთში საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატი ახალი, მიმოსვლითი სისტემით ტარდება. ეს გაკეთდა იმიტომ, რომ ბოლო მოგვლო წლების მანძილზე დამკვიდრებულ ერთტურიანი შეჯიბრებებისათვის, რომლებიც, ჩვენი აზრით, ვალის მოხდის მიზნით უფრო იმართებოდა. თავად განსაჯეთ: რესპუბლიკის უძლიერესი გუნდები რომელიმე ქალაქში ერთი კვირით შეიკრიბებოდნენ, საპრიზო ადგილებს გაითამაშებდნენ და შემდეგ მომავალ ჩემპიონატამდე მთელი წელი თავისუფალი იყვნენ, ფაქტიურად არაფერს აკეთებდნენ. ახალი სისტემა კი ამის საშუალებას არ აძლევს გუნდებს. მარტიდან დეკემბრის ჩათვლით ისინი მუდამ მზადყოფნაში უნდა იყვნენ.

ვაჟთა ჩემპიონატის გადახალისების ერთ-ერთი მთავარი მიზანი თბილისის „ბურევესტნიკისათვის" ხელის შეწყობაა. ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ ოსტატთა გუნდებში ვერ ხვდებიან, ადგილებზე უნდა დარჩნენ და სისტემატური წვრთნითა და შეჯიბრებებში მონაწილეობით აიმაღლონ თავიანთი ოსტატობა, მაგრამ სად არიან ასეთი გუნდები? (მხედველობაში გვაქვს კოლექტივი, რომელსაც თავისი სახელიც ექნება და, ასე ვთქვათ, პატრონიც ეყოლება). არც ერთ ქალაქს ჩვენს რესპუბლიკაში (თბილისის გარდა) მოზრდილთა გუნდი არ ჰყავს. ამიტომაა გუნდების უმრავლესობა ნაჩქარევად, სკოლის მოსწავლეებით რომ კომპლექტდება.

არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ერთ მეტად აღმაშფოთებელ ფაქტს. გუნდები უპასუხისმგებლობას იჩენენ და თამაშებზე არ ცხადდებიან. ოქტომბრის პირველ ნახევარში სოხუმში ჩატარდა საქართველოს პირველობა ქალთა გუნდებს შორის, რომელშიც თბილისელებმა გაიმარჯვეს. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ აფხაზეთისა და ქუთაისის ხელბურთელები. ასპარეზობაში მხოლოდ ხუთი გუნდი მონაწილეობდა, ნაცვლად ათისა! არ ვიცით, რა გასამართლებელ საბუთებს წარმოადგენენ სამხრეთ ოსეთის, რუსთავის, ფოთის, ტყიბულისა და წყალტუბოს სპორტის მესვეურები, რომელთაც შეჯიბრების დებულება ჯერ კიდევ მარტში გაეგზავნათ. მაგრამ, ერთი რამ კი ცხადია: საქმე გვაქვს უპასუხისმგებლობასა და მინდობილი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებასთან, ჩვენ არ ვიცით რა რანგის შეჯიბრებებით არიან განებივრებული ზემოდასახელებული ქალაქების ხელბურთელები, მაგრამ არ მიიღო მონაწილეობა საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება, ჩემი აზრით, მიუტევებელი დანაშაულია. ასე იყო თუ ისე, ჩემპიონატი მაინც ჩატარდა. მაგრამ გადავხედოთ გუნდების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს: თბილისის პირველი გუნდის გარდა ყველა კოლექტივი სკოლის მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული. თუ ქუთაისის და აფხაზეთის გუნდებში სკოლადამთავრებული ხელბურთელი თითო ან ორი მაინც აღმოვაჩინეთ, აჭარის ნაკრებში სულ „მცირეწლოვანები" იყვნენ. თვითონ განსაჯეთ, 14-15 წლის ხელბურთელმა რა თამაში უნდა აჩვენოს. როდესაც თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელ გოგონებს ვესაუბრეთ შეჯიბრების შესახებ, მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ ასეთ შეჯიბრებაში მონაწილეობას აზრი არა აქვს, მას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია. ისმის კითხვა: რისთვის ტარდება რესპუბლიკის ჩემპიონატი, ასრულებს თუ არა იგი საკუთარ ფუნქციას, მოაქვს თუ არა მას სარგებლობა კერძოდ ჩვენი ხელბურთისათვის და საერთოდ ქართული სპორტისათვის? პირდაპირ შეიძლება ითქვას — არანაირი სარგებლობა არ მოაქვს. დიახ, ამ სახეობაში ყველაფერი არ არის რიგზე, აქ უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი. ისმის კითხვა: რა უფრო მნიშვნელოვანია რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებისათვის — სპორტული მაჩვენებლები თუ რესპუბლიკის ერთადერთი გუნდისათვის პერსპექტიული ახალგაზრდა ხელბურთელის აღზრდა? პრინციპში ერთიცა და მეორეც, მაგრამ თუ საქმეს ჩავუკვირდებით, ძალზე სავალალო სურათის მოწმენი გავხდებით — გუნდები საკმაოდ სუსტად არიან მომზადებული და რაც დრო გადის, საქართველოს პირველობაში მონაწილე გუნდების ოსტატობის დონე თანდათან დაბლა ეცემა. ეს მაშინ, როდესაც რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ხელბურთის სექციები მრავლადაა გახსნილი. **ვინ** იცის, რამდენი მწვრთნელი იღებს ფულად გასამრჯელოს ნორჩების დაოსტატებისათვის, პერიფერიებიდან კი წლების მანძილზე ღირსეული ცვლა არ ჩანს.

ჩვენი პრესის ფურცლებზე უკვე ტრადიციად იქცა სათაურები „დავუბრუნოთ ხელბურთს (ან სხვა სახეობას) ძველი დიდება", „დავუბრუნოთ რესპუბლიკის ჩემპიონატს ადრინდელი ავტორიტეტი და რეპუტაცია". ნუთუ დღეს, ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, როდესაც სპორტულმა მაჩვენებლებმა ზღვრულ შედეგებს მიაღწია, უნდა ვიხსენებდეთ და მისაბაძად ვისახავდეთ წლების წინ ჩატარებულ რესპუბლიკის ჩემპიონატებს? არა და სად გინდა გაექცე სინამდვილეს? გახსოვთ რა ზეიმით ტარდებოდა ადრე ქალაქის ან რესპუბლიკის პირველობა? მართლაც, დიდებული სანახაობა იყო. რატომ ვივიწყებთ ტრადიციას, რატომ ჩავიქნიეთ ხელი, რატომ გავაუბრალოეთ ყველაფერი?

ამჟამად ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში მიმდინარე გარდაქმნების ცხოველმყოფელი გავლენა ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ჯერჯერობით არ იგრძნობა და რა სამწუხაროა, რომ ამ ინერტულობის მიმართ ხელმძღვანელი მუშაკები შემრიგებლურ დამოკიდებულებას იჩენენ.

**გურამ ძაგანია,**
**საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.**

## მოკლედ

**ტყიბულის** სპორტის სასახლეში ტექნიკუმის მოსწავლეთა მონაწილეობით „მხიარული სტარტები" ჩატარდა. შემდეგ სარბიელი გოგონებს დაეთმოთ, ისინი მინი-ფეხბურთში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. ბოლოს ვაჟ ფეხბურთელთა გუნდებმა იასპარეზეს. საღამოს ელფერი შემატა ტექნიკუმის ქართულ ხალხურ საკრავთა ორკესტრის მონაწილეობამ.

ეს ღონისძიება ტყიბულში ქვანახშირის მოპოვების 140 წლისთავს მიეძღვნა.

„მხიარული სტარტების" შეჯიბრებაში გაიმარჯვა ელექტრომოწყობილობების ფაკულტეტის 320-ე ჯგუფმა, ხოლო მინიფეხბურთში — ამავე ფაკულტეტის 322-ე ჯგუფის გოგონებმა. ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაშიც ამ ჯგუფის მოსწავლეებმა მიაღწიეს წარმატებას.

**ელგუჯა ბაქრაძე,**
**„ლელოს" კორ.**
ტყიბული.





## ბალავერი

**ძნელად** თუ მოიძებნება მოზარდი, ცხენი არ უყვარდეს და ამ ჭკვიან არსებასთან მეგობრობაზე არ ოცნებობდეს. ცხენთან სიახლოვე კიდევ უფრო ალამაზებს და აფაქიზებს ადამიანის სულს.

რესპუბლიკაში ბოლო წლებში ბევრი ახალი საცხენოსნო კლუბი და სანაშენე ფერმა გაიხსნა, მომრავლდა ცხენოსნობის ეროვნული და კლასიკური სახეობების სექციები, საცხენოსნო ტურიზმის ჯგუფები.

სურათებზე, რომელიც ჯემალ კახრაძემ გადაიღო, საქართველოს სპორტსახკომის საცხენოსნო სპორტული ბაზის ნორჩი მხედრები და მათი მწვრთნელი შ. ჭაფოძეა აღბეჭდილი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ჩემპიონატი

**კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში დღეს სიმფეროპოლის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდები.**

ისევე, როგორც განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში, საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ფეხბურთელები კვლავ ერთ შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ.. მაშინ, როგორც გახსოვთ, საბჭოთა ფეხბურთელებმა 1984 წლის 10 ოქტომბერს მეტოქის მინდორზე ფრეს მიაღწიეს (1:1), ერთი წლის შემდეგ კი მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მინიმალური ანგარიშით მოიპოვეს გამარჯვება — 1:0.

ამჟამად მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა ფეხბურთელებმა ორი მატჩი ჩაატარეს და ორივე სტუმრად. 24 სექტემბერს მათ ისლანდიელებთან ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 1:1, პარიზში კი 11 ოქტომბერს, საფრანგეთის ნაკრები დაამარცხეს — 2:0. ამ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| **ისლანდია** | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| **გდრ** | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| **ნორვეგია** | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| **საფრანგეთი** | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

ნორვეგიელებს ერთი მატჩი აქვთ ჩატარებული, 10 სექტემბერს თავიანთ მინდორზე მათ ფრედ ითამაშეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან — 0:0.

საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდები პირველად ერთმანეთს 1961 წელს შეხვდნენ. მას შემდეგ მათ შორის 4 ოფიციალური მატჩი გაიმართა, სამჯერ გაიმარჯვა საბჭოთა ნაკრებმა, ერთი შეხვედრა დამთავრდა ფრედ, დღეს მეტოქეები მეხუთედ ხვდებიან ერთმანეთს.

ნორვეგიის ნაკრების უფროსი მწვრთნელია ტორ როსტე ფოსენი. მან შეძლო საკმაოდ ძლიერი გუნდის შექმნა, თუმცა, მწვრთნელი უჩივის მაღალი კლასის ოსტატთა უყოლობას, რომელთა გარეშე ძნელია უმაღლესი კლასის გუნდის შექმნა. შეიძლება, ეს მთლად ასეც არაა, ვინაიდან ნორვეგიელებს ჰყავთ ძლიერი ოსტატები ერიკ ტორსტვედტი, ტერიე კუედალი, ანდერს გისკე, პერ ედმონდ მორდტი, ჰალვარ ტურესენი და სხვანი, მაგრამ თუკი ამ ქვეყანაში ვინმე გამოიჩენს თავს მწვანე მინდორზე, როგორც წესი, იგი მაშინვე გადადის სათამაშოდ უცხოეთის ძლიერ პროფესიულ კლუბებში (გფრ, საფრანგეთი, ინგლისი, შვეცია) და მათი მოწვევა ეროვნულ ნაკრებში სავარჯიშოდ და შესათამაშებლად მუდამ დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. როგორც რ. ფოსენი აღნიშნავს, ნორვეგიელები განსაკუთრებით ძლიერად თამაშობენ თავიანთ მინდორზე ოსლოში, მაგრამ იგი იმედს არ კარგავს, რომ ნორვეგიელები სტუმრადაც ხელს გამოიღებენ და შეეცდებიან დაუმტკიცონ საფეხბურთო სამყაროს თავიანთი სიძლიერე. კერძოდ, დღევანდელი მატჩისთვის საგანგებოდ ემზადებოდნენ მეკარე ტორსტვედტი, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდ „ბორუსიაში“ გამოდის, მცველი გისკე („ნიურნბერგი“, გფრ), ნახევარმცველი მორდტი (შვეცია, „გეტებორგი“), [illegible] „ნოტინგემ ფორესტთან“ კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ნორვეგიას დაუბრუნდა ნახევარმცველი ასი, აგრეთვე თავდამსხმელები, ჰერლოვსენი („ბორუსია“, გფრ), ანდერსენი („ნიურნბერგი“, გფრ).

ერთი სიტყვით, ნორვეგიის ნაკრები არც ისე ღარიბია მაღალი კლასის ოსტატებით, ამიტომ საბჭოთა ნაკრებს დღეს მთელი ძალებით ბრძოლა მართებს სიმფეროპოლის „ლოკომოტივის“ სტადიონზე.

**სსრ კავშირისა და ნორვეგიის ფეხბურთელთა მატჩს საკავშირო ტელევიზია სიმფეროპოლიდან გადასცემს დღეს 20 საათზე თბილისის დროით.**

ფეხბურთი

## ფედერაციის თასზე

დასასრულს მიუახლოვდა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება. 26 და 27 ოქტომბერს გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები: ლენინგრადში „ზენიტმა“ მოუგო ერევნის „არარატს“ — 1:0, ხოლო დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით დაამარცხა მოსკოვის „სპარტაკი“ — 4:0 (ამ მატჩს სჯიდა თბილისელი არბიტრი ვ. მიმინოშვილი).

**ამრიგად, ფედერაციის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ და ლენინგრადის „ზენიტი“.**

რეტრო

## ექვსი ათეული წლის წინათ

ეს ფოტოები, ექვსი ათეული წლის წინათ გადაღებული (უფრო ზუსტად 1922 და 1923 წწ.) ქართული ფეხბურთის ისტორიკოსთათვის ალბათ საინტერესო უნდა იყოს. თბილისს მაშინ რამდენიმე გუნდი ჰყავდა, რომელთაგან ერთი ამიერკავკასიის მასშტაბითაც კარგად იყო ცნობილი. მას არმიელთა კლუბი (არმკლუბი) ერქვა და სამხედრო გარნიზონის ფეხბურთელთა ტურნირებში წარმატებებს აღწევდა.



ამ თასზე, რომელიც თბილისის არმკლუბმა 1922 წლის გათამაშებაში მოიპოვა, ასეთი წარწერაა ამოტვიფრული: „კლუბის თავმჯდომარე — ა. ნ. მელნიკოვი; თავდამსხმელები: კ. კრავჩენკო, ი. იზიუმსკი, ბ. კულვეცი, ვ. შერშოვი, დ. მდივანი; ხავბეკები: ა. გონელი, ქ. ქსენოფონტოვი, ბ. ჩისტიაკოვი; ბეკები: ლ. ფრეი, ზ. ზუბიევი; გოლკიპერი — ბ. სკოლზნევი. 1922 წელი, გარნიზონის ოლიმპიადა“.

უბრალოდ, გვარებია ჩამოთვლილი, მაგრამ ამ გვარებს ქართული ფეხბურთის ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უფრო, რომ გუნდის ერთ-ერთი მონაწილე კონსტანტინე კრავჩენკო დღესაც მხნედ არის და ზოგჯერ რედაქციამიც მოდის სტუმრად. ეს ფოტოები სწორედ მისი არქივიდანაა ამოღებული.

1923 წელს გარნიზონის ფეხბურთელთა ტურნირი ამიერკავკასიის ფეხოსანთა სკოლის (ზპშ) მოედანზე ჩატარებულა. თბილისის არმკლუბმა გადამწყვეტ შეხვედრაში ბაქოს სამხედრო მეზღვაურთა გუნდი დაამარცხა (4:3) და კვლავ საპატიო ჯილდოს დაეუფლა.

ერთი წლის განმავლობაში არმკლუბის შემადგენლობა დიდად არ შეცვლილა. გუნდის კაპიტანი ისევ კ. კრავჩენკო იყო, თავდასხმაში კლუბის სპორტული სექციის თანამშრომელი ვ. შერშოვი თამაშობდა, დაცვის ბურჯი კი ისევ და ისევ რკინიგზის სახელოსნოების მუშა შაქრო ზუბიევი გახლდათ. კლუბის სხვა წევრებიც ძველი და გამოცდილი ფეხბურთელები იყვნენ. გუნდში მხოლოდ ერთი ახალი მოთამაშე ნიკოლოზ ხრომოვი მოვიდა. ადრე იგი ლენინგრადელთა ღირსებას იცავდა, საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა პირველ ნაკრებში თამაშობდა, მაგრამ მერე საცხოვრებლად თბილისში გადმოსულა.

აი, ეს გუნდიც: მარცხნიდან მესამე — მეკარე ბორის სკოლზნევი, მერე ნიკოლოზ ხრომოვი, ანტუს გონელი (მომდევნო ფეხბურთელის გვარი ვერ დავადგინეთ), კონსტანტინე კრავჩენკო, დავით მდივანი, ლუდვიგ ფრეი, ქორა ქსენოფონტოვი (მეტსახელად ჯორო), ვალია შერშოვი, შაქრო ზუბიევი, ბორის კულვეცი. მარჯვნიდან პირველი — ფინალური მატჩის გვერდითი მსაჯი ნ. გოლუბევია, მარცხნიდან მეორე — შეხვედრის მთავარი არბიტრი ნ. ბიაზი.



## მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

**ბუდაპეშტი.** ასეთი რამ მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში არ მომხდარა. 82 კგ. წონით კატეგორიაში მსაჯთა კოლეგიამ ორი მოჭიდავე ჩემპიონად გამოაცხადა, ორს კი ბრინჯაოს მედლები გადასცა. ამ უნიკალურ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა... ორი გაურკვეველი დღე, მსაჯთა კოლეგიის რამდენიმე კრება და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს სპეციალური სხდომა, რომელმაც გამოიტანა კიდეც ეს „განაჩენი“.

არადა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური დღე მშვიდად დაიწყო. 57 კგ. წონით კატეგორიაში ოქროს მედალი ბულგარელმა ე. ივანოვმა დაისაკუთრა. მაყურებლებმა ის იყო მხიარული ტაშით გააცილეს ახალი ჩემპიონი, რომ სარბიელზე 82 კგ წონის ფინალისტებს ტ. კომარომისა (უნგრეთი) და ბ. დარასს (პოლონეთი) მოუხმეს...

ორი ღირსეული და თანაბარი ძალის მოჭიდავის შერკინებაში ქული არ გაკეთებულა. უნგრელიცა და პოლონელიც ვაჟკაცურად იბრძოდა, მაგრამ შეცდომა არც ერთს არ მოსვლია. ზოგჯერ ასეც ხდება ხოლმე: ორივე მეტოქე ძლიერია, ორივე ყურადღებით ჭიდაობს, ორივეს გამარჯვების დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ერთმანეთს ვერაფერს უხერხებენ.

მსაჯები, რა თქმა უნდა, აჩქარდნენ, როცა ამ ორთაბრძოლის მონაწილეებს პასიურობა დააბრალეს და გადაწყვიტეს ოქროს მედალი არც ერთისთვის არ მიეცათ. ამ გადაწყვეტილებამ უკმაყოფილება გამოიწვია მაყურებლებში, სპორტსმენებში, მწვრთნელებში, საჭირო გახდა საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური ბიუროს მოწვევა, რომელმაც ვიდეოფირის დახმარებით დეტალურად გააანალიზა ეს ბრძოლა და მასში პასიურობის ნიშანწყალიც ვერ ნახა. სწორედ ბიუროს წევრები მივიდნენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ საჭირო იყო ორივე მოჭიდავის ოქროს მედლით დაჯილდოება.

მაგრამ ეს მოხდა მეორე დღეს, როცა მედლების საზეიმოდ გადაცემა აღარ შეიძლებოდა. სხვათა შორის, ამ წონაში ბრინჯაოს მედლისთვის მებრძოლებსაც იგივე ბედი ეწიათ. და ისევ ფედერაციის ბიუროს ჩარევის შემდეგ რუმინელ ს. ხერტიასა და შვედ მ. ფრედრიკსონს ბრინჯაოს მედლები გადაეცათ.

მკითხველმა უკვე იცის, რომ „კლასიკოსთა“ მსოფლიო ჩემპიონატში გუნდური გამარჯვება საბჭოთა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს. ჩვენ მხოლოდ ის დაგვრჩენია, გაგაცნოთ რომელმა ქვეყანამ რამდენი მედალი მოიპოვა:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| **სსრ კავშირი** | 5 | 2 | 1 |
| **ბულგარეთი** | 1 | 2 | 2 |
| **უნგრეთი** | 2 | — | 1 |
| **პოლონეთი** | 2 | 1 | — |
| **რუმინეთი** | — | 1 | 1 |
| **შვეცია** | 1 | — | 1 |
| **ნორვეგია** | — | 1 | — |
| **ფინეთი** | — | 1 | — |
| **გდრ** | — | 1 | — |
| **კუბა** | — | — | 1 |
| **იაპონია** | — | — | 1 |
| **საბერძნეთი** | — | — | 1 |
| **გფრ** | — | — | 1 |
| **ჩეხოსლოვაკია** | — | — | 1 |

დაბოლოს, ჩემპიონატის პრიზიორთა შესახებ:

**გუნდური ადგილები.** 1. სსრ კავშირი, 2. ბულგარეთი, 3. უნგრეთი, 4. პოლონეთი, 5. რუმინეთი, 6. აშშ.

**48 კგ.** 1. მ. ალახვერდიევი (სსრ კავშირი), 2. ბ. ცენოვი (ბულგარეთი), 3. რ. ჰიმენესი (კუბა).

**52 კგ.** 1. ს. დიუდაევი (სსრ კავშირი), 2. ე. რენინგენი (ნორვეგია), 3. ა. მიახარა (იაპონია).

### ეს მოხდა ფინალების დღეს

**57 კგ.** 1. ე. ივანოვი (ბულგარეთი), 2. ტ. კალიმულინი (სსრ კავშირი), 3. ჰ. ჰოლიდისი (საბერძნეთი).

**62 კგ.** 1. კ. მაჯიდოვი (სსრ კავშირი), 2. ბ. კლოზიკი (პოლონეთი), 3. ჟ. ვანგელოვი (ბულგარეთი).

**68 კგ.** 1. ლ. ჯულფალაკიანი (სსრ კავშირი), 2. ტ. სიპილა (ფინეთი), 3. კ. პასარელი (გფრ).

**74 კგ.** 1. მ. მამიაშვილი (სსრ კავშირი), 2. მ. იენი (გდრ), 3. დ. მარინოვი (ბულგარეთი).

**82 კგ.** 1-2. ტ. კომარომი (უნგრეთი) და ბ. დარასი (პოლონეთი), 3-4. ს. ხერტია (რუმინეთი) და მ. ფრედრიკსონი (შვეცია).

**90 კგ.** 1. ა. მალინა (პოლონეთი), 2. ა. კომშევი (ბულგარეთი), 3. ი. დურკშაკი (ჩეხოსლოვაკია).

**100 კგ.** 1. ტ. გაშპარი (უნგრეთი), 2. ვ. ანდრეი (რუმინეთი), 3. ა. ფედორენკო (სსრ კავშირი).

**130 კგ.** 1. ტ. იუჰანსონი (შვეცია), 2. ვ. გრიგორიევი (სსრ კავშირი), 3. ლ. კრაუზი (უნგრეთი).

## კორტებზე არიან ვეტერანები

**ჩოგბურთს** რომ ყველა ასაკის ადამიანი ემონება — ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ვეტერანთა საკავშირო ტურნირმა, რომელიც ბათუმში დამთავრდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ წარსულში ცნობილი ოსტატებიცა და ისინიც, რომლებიც უბრალოდ გატაცებულნი არიან სპორტის ამ სახეობით.

45 წლამდე ასაკის ჩოგბურთელთა ასპარეზობაში გაიმარჯვა თბილისელმა მეცნიერ-თანამშრომელმა ირაკლი თოფურიძემ, მათ შორის, ვინც 45 წლის ასაკს გადაცილებული იყო, ყველას აჯობა კიეველმა ინჟინერ-მელიორატორმა კონსტანტინ სავჩენკომ. წყვილთა თანრიგში პირველი ადგილი დაიკავა ირაკლი თოფურიძემ და მისმა ძმამ ნიკოლოზმა — ასევე მეცნიერ-თანამშრომელმა.

ვეტერან ჩოგბურთელთა შორის, 45 წლის ასაკამდე სპორტსმენებში, ერთეულთა თანრიგში გაიმარჯვა თბილისელმა ნინო თუხარელმა და ტალინელმა თომას ლეიუსმა, ხოლო 45 წელზე უფროსი ასაკის წარმომადგენელთა შორის — მოსკოველმა იური ხოხლოვმა.

## ფაკულტეტებს შორის

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში ერთ კვირას მიმდინარეობდა სასწავლებლის კალათბურთელთა პირველობა.

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში ამ შეჯიბრებას ტრადიციულად თავკაცობდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და საქართველოს ფიზკულტურის და სპორტის დამსახურებული მუშაკი დავით ქამუშაძე. ამჯერად ასპარეზობა პირველად ჩატარდა მის გარეშე.

სასიამოვნოა, რომ ტურნირმა სასწავლებლის თითქმის ყველა სტუდენტ კალათბურთელს მოუყარა თავი, რაც უკანასკნელ წლებში იშვიათი შემთხვევაა. თასისათვის იბრძოდნენ ვაჭრობის ეკონომიკის და საქონელმცოდნეობის, ისტორიის, ეკონომიკის, საინჟინრო ეკონომიკის, გეოგრაფია-გეოლოგიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტების გუნდები.

უნივერსიტეტის პირველობისა და სპარტაკიადების მრავალგზის გამარჯვებულმა ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტმა არც ამჯერად შეირცხვინა თავი და დამაჯერებლად დაამარცხა ყველა მეტოქე. II ადგილი წილად ხვდა ისტორიკოსთა გუნდს, III — ეკონომისტებს.

შეჯიბრების დასასრულს საპატიო თასი გამარჯვებულ გუნდს გადასცა დავით ქამუშაძის ვაჟმა, ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატმა თენგიზ ქამუშაძემ.

საინტერესოა, რომ საუკეთესო კალათბურთელის პრიზიც გამარჯვებული გუნდის კაპიტანს ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს გია ნათობიძეს გადაეცა.

**ჯამლეტ ხუხაშვილი.**



**ალპინიზმში**, როგორც წესი, ოფიციალურად არავითარი რეკორდი არ აღინუსხება. არ აღინუსხება იქნებ იმიტომაც, რომ მთამსვლელს რეკორდების დევნა კარგს არაფერს მოუტანს. და მაინც, მთამსვლელებსაც აქვთ მიღწევები, რომლებსაც აღფრთოვანებაში მოვყავართ. ერთ-ერთი ასეთი ალპინისტი გახლავთ სახელგანთქმული იტალიელი, წარმოშობით ავსტრიელი რაინჰოლდ მესნერი.

როგორც ვიუწყებოდით, რამდენიმე დღის წინათ მესნერი გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც დალაშქრა დედამიწის თოთხმეტივე უმაღლესი მწვერვალი, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება. 25 სექტემბერს მან მაკალუდან (8463 მ) გადმოიხედა, 16 ოქტომბერს კი უკვე ლჰოცეზე (8501) იდგა.

# ან რაღას იქმ, სიზიფე?!

**ჩემმა** პროფესიამ არაერთ სახელგანთქმულ სპორტსმენს შემახვედრა. მისაუბრია მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებთან, რეკორდსმენებთან, მაგრამ აზრად არასოდეს მომსვლია მათთვის ავტოგრაფი ჩამომერთვა, მხოლოდ ერთხელ ვერ გავუძელი ცდუნებას, ან როგორ უნდა გამეძლო, როცა ჩემს იდეალს ვესაუბრებოდი. თუმცა, ის კაცი მხოლოდ ჩემი იდეალი როდია, მსოფლიოს პრესა თითქოს ერთმანეთს ეჯიბრება ამ ადამიანის შემკობაში. „ზეკაცი“, „მყინვართა ვარსკვლავი“ — აი, როგორ იხსენიებენ მას.

მაშინ, 1982 წელს, შორეული კატმანდუს ერთ-ერთ ქუჩაზე შევხვდით ერთმანეთს. გავიცანით და ვისაუბრეთ. მერე იქვე, მაღაზიაში ღია ბარათის შესაძენად შევვარდი. შესაფერისი შევარჩიე. ჰიმალაის ოთხი გოლიათი მწვერვალის, მათ შორის ევერესტის ფონზე, იეტი, ანუ თოვლის კაცი მოჩანდა. სხვისი არ ვიცი და, ის კაცი მე ჰიმალაის ზუმბერაზ მწვერვალებზე მარტოდმარტო მოხეტიალე იეტს მაგონებს.

ახლა ის ღია ბარათი, მეორე მხარეს ავტოგრაფი რომ ამშვენებს, ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე მიდევს. მას გაკრული ხელით აწერია: „რაინჰოლდ მესნერი“.

რაინჰოლდ მესნერი...

ახლა გავიხსენოთ მესნერის ფანტასტიკური რეკორდისაკენ მიმავალი გზა, რომელიც თექვსმეტი წლის წინათ დაიწყო. ამ გზას მესნერი 25 წლისა დაადგა.

მაშ ასე: 1970 — ნანგა პარბატი ანუ დიამირი (8126 მ.), 1972 — მანასლუ (8128), 1975 — ჰიდენ პიკი (8068), 1978 — ნანგა პარბატი, ევერესტი, იგივე ჯომოლუნგმა და საგარმატხა (8848), 1979 — ჩოგორი, ანუ „კ-2“ (8611), 1980 — ევერესტი, 1981 — შიშა პანგმა (8013), 1982 — კანჩენჯანღა (8585), გაშერბრუმი (8035), ბროუდ პიკი (8047), 1983 — ჩო ოიუ (8153), 1984 — გაშერბრუმი, ჰიდენ პიკი, 1985 — ანაპურნა (8078), დჰაულაგირი (8221), 1986 — მაკალუ (8463), ლჰოცე (8501).

რაინჰოლდი, როგორც ხედავთ, „რვაათასიან“ მწვერვალებზე თვრამეტჯერ ავიდა. არ მეგულება ოპტიმისტი, ვინც ამ რეკორდს გააუმჯობესებს.

მიზანი მიღწეულია?

მაშინ, 1982 წელს, მესნერმა გვითხრა, მიზანს არასოდეს არ ვთვლი მიღწეულადო. ეს ადამიანი-საოცრება თავის თავს მითიურ სიზიფეს ადარებს. იგი წერს:

„მე მითიურ სიზიფეს ვგავარ, რომელიც ცდილობს თავისი ქვა აიტანოს მთაზე. მე მოწოდებული ვარ, ყველაფერი თავიდან დავიწყო“.

მაგრამ მესნერისთვის თოთხმეტივე „რვაათასიანის“ დალაშქვრა არასოდეს ყოფილა თვითმიზანი. ასე რომ ყოფილიყო, ორ-ორჯერ არ ავიდოდა ნანგა პარბატზე, ჰიდენ პიკზე, ევერესტზე, გაშერბრუმზე, არ „გაცდებოდა“ 1984 წელს, როცა ორჯერ ავიდა „რვაათასიანზე“ და ასევე ორჯერ უკვე დალაშქრულ მწვერვალზე, არადა წრის შესაკრავად მხოლოდ სამი მწვერვალიღა რჩებოდა.

ამ მწვერვალებიდან ბევრზე ჟანგბადის ბალონების გარეშე ავიდა. ბევრჯერაც გადამწყვეტი იერიში მარტოდმარტომ მიიტანა. განსაკუთრებით სენსაციური იყო მესნერის 1980 წლის ლაშქრობა „სამყაროს სახურავზე“ — ევერესტზე, სადაც თავიდან ბოლომდე, წმინდა ალპიურ სტილში, სრულიად მარტოდმარტომ იარა ზამთარში, თანაც ჟანგბადის ბალონების გარეშე, თანაც მუსონების პერიოდში, უვალი გზით და მწვერვალს საარაკოდ მოკლე დროში, სამ დღეში მიაღწია. ეს მაშინ, როცა ექსპედიციები ნებისმიერი „რვაათასიანის“ დალაშქვრას ორ თვეს ანდომებენ.

აი, რატომ მაგონებს ეს ეულად მავალი კაცი თოვლის კაცს.

ახლა რაღას იზამს მესნერი, როცა უკვე ყველა ზუმბერაზზე ფეხი შედგა? მაგრამ ის ხომ სიზიფეა, ამიტომ ალბათ ყველაფერს თავიდან დაიწყებს. მეორე წრე უკვე დაწყებულია. ოთხი მწვერვალი აქვს დალაშქრული.

რაინჰოლდი იტალიელია, ისე კი ავსტრიიდან, სამხრეთ ტიროლიიდანაა. პროფესიით პედაგოგი გახლავთ. თავისი ასვლების შესახებ შესანიშნავი წიგნები დაწერა, მესნერის ერთ-ერთი წიგნის — „კ-2“-ის სუპერზე ვკითხულობთ: „მესნერი თავისებური ბედნიერი მოთამაშეა, რომელიც მუდამ რისკზე მიდის და მუდამ იმარჯვებს. ის დამცველი ბადის გარეშე მოვარჯიშე აკრობატია, სიკვდილს რომ ეთამაშება და სიცოცხლეს კი იგებს“.

საინტერესოა მესნერის აზრი მთამსვლელობაზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, სხვა მარადიულ პრობლემებზე. ამ კითხვებიდან ბევრზე პასუხი მის წიგნებში ამოვიკითხე, ზოგზე თავად გვიპასუხა, ნაწილი კი კატმანდუში, სასტუმრო „ბლუე სტარში“ საბჭოთა მთამსვლელებისა და რაინჰოლდის საუბრისას ჩავიწერე.

— იმდენჯერ განმიცდია საკუთარი სიკვდილი, დარწმუნებული ვარ, მას მთებში შევხვდები, — ამბობს მესნერი. — სიკვდილი ყოველი ფეხის ნაბიჯზეა ჩასაფრებული, მაგრამ როცა მწვერვალს თავზე მოვექცევი, სულ აღარ მადარდებს, რამდენი წლისა დავიღუპები. მწვერვალზე ასვლა სიკვდილის თავისებური გამოწვევაა.

სიცოცხლე?

— ხელოვნება ის კი არ არის, რომ სიკვდილი ვეძებოთ, არამედ ის, რომ ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეთ. სიცოცხლის სიყვარული ნიშნავს შენებურად გამოხატო იგი. მაგალითად, ვისაც დურგლობის ჰია ულრონის გულს, ვინც მაგიდებსა და სკამებს აკეთებს, მას აზრადაც არ მოუვა კითხვა, თუ რისთვის ცოცხლობს. მას კი, ვინც მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ იმისთვის მუშაობს, რომ ოჯახი არჩინოს და შესაძლებლობა ჰქონდეს ტელევიზორის ეკრანთან სავარძელში მოკალათებულმა ლუდი წრუპოს, თავსატეხი უჩნდება: სულ ეს არის სიცოცხლე და მეტი არაფერი? რატომ ვზივარ ამ ყუთის წინ? რა აზრი აქვს სიცოცხლეს? ო, როგორ განსხვავდება ასეთებისგან ადამიანი, რომელმაც ცხოვრებაში თავისი ადგილი იპოვა. ასეთ ადამიანს კითხვა სიცოცხლის აზრის შესახებ არასოდეს გაუჩნდება. უშრეტი შემოქმედებითი ენერგია მას ახალ-ახალი საქმეებისაკენ უბიძგებს, და კიდევ: ადამიანი, ჩემი რწმენით, თავგადასავლისთვის არის დაბადებული.

ალპინიზმი?

— ჩვენი პლანეტის ჯერ კიდევ შეუბღალავ ადგილებში განმარტოება მესაჭიროება, რათა სრულად შევიგრძნო საკუთარი თავი. პირადად ჩემთვის მთაში სიარული საკუთარი თავის გამოცდას ნიშნავს. ზოგიერთები მთამსვლელს უაზრობათა დამპყრობს უწოდებენ. არა, ჩემთვის მთამსვლელები გამოუთქმელად მნიშვნელოვანის დამპყრობნი არიან. მე, მაგალითად, ყოვლად უვარგის მამაკაცად ჩავთვლიდი თავს, წელიწადში ერთხელ მაინც რომ არ შევებრძოლო სტიქიას.

მწვერვალი?

— მწვერვალი წმინდა ადგილია და იქ არავინ არაფერი არ უნდა დატოვოს. მწვერვალებს სისპეტაკე უნდა შევუნარჩუნოთ. ამიტომ ევერესტიდან უნდა გადმოვაგდოთ ის სამფეხაც, რომელიც ჩინელებმა დატოვეს.

ღმერთი? როცა შერპები მთაში ბანაკებს აწყობენ, კარვების წინ სალოცავ დროშებს გამოფენენ ხოლმე და გადამწყვეტი იერიშის წინ ერთთავად ლოცულობენ. თავიანთ ღმერთს პატიებას სთხოვენ იმისათვის, რომ მასთან მიახლოებას ცდილობენ. მესნერი კი ამბობს:

— ჩემთვის მთელი სამყარო ღვთაებრივია. მაგრამ ღმერთი ჯერ ვერსად ვიპოვე.

იდეოლოგია?

— არანაირ იდეოლოგიას არ ვემხრობი და ყოველგვარი „იზმების“ წინააღმდეგი ვარ. ადამიანს უფლება აქვს პირადი ინტერესი იქონიოს იქამდე, სანამ ეს „პირადი“ სხვებს არ შეაწუხებს. არავის აქვს უფლება სხვას მოახვიოს თავს თავისი კულტურა, ცხოვრების წესი და რელიგია, რაოდენ ჭეშმარიტადაც არ უნდა თვლიდეს მას.

...მაშინ, ჩვენი შეხვედრისას, მესნერმა გვითხრა, 15 წლის წინათ დოლომიტებში წელიწადში 80-100-ჯერ ავდიოდი მწვერვალებზე, ბოლო ხუთი წლის მანძილზე „რვაათასიან“ მწვერვალებზე წელიწადში ორ ასვლას ვგეგმავ. აქედან, როგორც წესი, ერთ ასვლას წარმატებით ვამთავრებო. მაშინ მესნერი ის-ის იყო კანჩენჯანღადან დაბრუნდა და სეზონის ბოლომდე კიდევ ორ „რვაათასიან“ მწვერვალზე ასვლას აპირებდა, ორივეზე ავიდა. ერთ წელიწადში სამი „რვაათასიანი“! ესეც თავისებური რეკორდი გახლავთ. მას შემდეგ მესნერი წელიწადში ორ-ორ რვაათასიან მწვერვალზე ადის (მხოლოდ 1983 წელს დალაშქრა ერთი).



მესნერის ძმა—გიუნტერიც ცნობილი მთამსვლელი იყო. ძმებმა 1970 წელს ნანგა პარბატზე ერთად შედგეს ფეხი, მაგრამ დაშვებისას გიუნტერი დაიღუპა.

„თქვენს შვილს თუ გაუშვებთ მთაში?“ გვინდოდა გვეკითხა მესნერისთვის, მაგრამ თავად დაგვასწრო. გვითხრა, კანჩენჯანღაზე, საბაზო ბანაკში 6 წლის ვაჟიშვილი მახლდაო.

იქნებ რაინჰოლდ მესნერის ფანტასტიკური რეკორდი უმცროსმა მესნერმა გააუმჯობესოს.

**ავთანდილ გურასაშვილი.**



როგორც იცით სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ [illegible] თბილისის ზღვაზე ჩატარდა მასობრივი მძლეოსნური კროსი, რომელშიც რბენის მოყვარულთა კლუბების სხვადასხვა ასაკის წევრები მონაწილეობდნენ. აბსოლუტურ პირველობაში ყველას გიორგი ხარაზიშვილმა აჯობა. სურათებზე ამ შეჯიბრების მომენტებს ხედავთ.



# ადრიანა და კამელია...

**შანხაიში** ახლახან დამთავრებულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირზე დომინირებდნენ ბულგარელი ტყუპი დები ადრიანა და კამელია დუნავსკები.

მრავალჭიდში გაიმარჯვა ადრიანამ, ხოლო II ადგილი დაისაკუთრა კამელიამ. დიდი წარმატებით იასპარეზეს დებმა ცალკეულ სახეობებშიც და ოთხივე ოქროს მედალი მათ მოიხვეჭეს (1—ადრიანამ, 3—კამელიამ).

ტაშკენტელი მარინა ნიკოლაევა მრავალჭიდში III ადგილზე გამოვიდა (ცალკეულ სახეობებში ბრინჯაოს 3 მედალს დაეუფლა). მისი თანამემამულე ელენა ხოლოდოვა მხოლოდ ერთი III ადგილით დაკმაყოფილდა (ბურთით ვარჯიშში).

**პროფესიონალური კრივის სამყაროში**

## სამი „დინოზავრის“ შეთანხმება

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ პროფესიულ კრივს ამჟამად მძიმე წონაში სამი მსოფლიო ჩემპიონი ჰყავს: მაიკლ სპინქსი (იბფ-ის ვერსიით), ტიმ ვაითერსპუნი (უბა-ს ვერსიით) და ტრევორ ბერბიკი (უბკ-ს ვერსიით). ასეთი მდგომარეობის არანორმალურობა სრულიად ნათელია, მაგრამ დათმობაზე მოკრივეთა არცერთი გაერთიანება არ მიდის.

ასეა თუ ისე, ნაბიჯი მაინც გადაიდგა ამ სამი ჩემპიონის (მათ კრივის მოყვარულები „დინოზავრებს“ უწოდებენ) შესათანხმებლად, თუმცა ეს მტრული ორგანიზაციები მაინც არ შერიგებულან, ეგაა, რომ მიღწეულია შეთანხმება ყველაზე პრესტიჟულ, მძიმე წონაში სამი ჩემპიონის ნაცვლად მსოფლიოს ერთი ჰყავდეს. ვაითერსპუნი და ბერბიკი ერთმანეთს შეხვდებიან, სპინქსი კი — ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტ კუნეის. ამ მატჩებში გამარჯვებულები გაისად ლას-ვეგასში გაარკვევენ, თუ ვინ არის მსოფლიოში უძლიერესი. მანამდე ბერბიკს (სანამ ვაითერსპუნს შეხვდება) კიდევ ერთი მატჩის გამართვა დაევალა: ჰაბუკ ტაისონთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველა შეხვედრას ნოკაუტით იგებს. ბერბიკი „წელს ითრევს“, სურს ეს მატჩი თავიდან აიცილოს, მაგრამ უბკ („უორლდ ბოქსინგ კორპორეიშნი“) ემუქრება, რომ თუ ძალიან გააჭიანურებს მატჩის დაწყებას, მსოფლიო ჩემპიონობას ჩამოართმევენ და მას ტაისონს გადასცემენ.

ერთი სიტყვით, „სამხელისუფლებიანობას“, როგორც ჩანს, მალე მოეღება ბოლო.

**ჩოგბურთი**

## ზედიზედ მერვე გამარჯვება

უიმბლდონის ტურნირის ორგზის გამარჯვებულის ბორის ბეკერის (გფრ) და მსოფლიოს პირველი ჩოგნის ივან ლენდლის (ჩეხოსლოვაკია) დავა კვლავ გრძელდება. მაგრამ თუ ადრე ამ დავაში ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენი იყო დაწინაურებული, ბოლო დროს მეტ წარმატებას ბეკერი აღწევს.

ამას წინათ სიდნეიში ბეკერმა დაამარცხა ლენდლი. ინტერესით მოელოდნენ მათ შეხვედრას ტოკიოშიც, მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგა. ფინალისაკენ მიმავალ გზაზე ლენდლს ამჯერად 20 წლის შვედი სტეფან ედბერგი გადაეღობა — 7:5, 6:1. ბეკერმა ნახევარფინალში ამერიკული ჩოგბურთის ვეტერანი ჯიმი კონორსი დაამარცხა (7:6, 2:6, 6:3), ფინალში კი ედბერგს აჯობა — 7:6, 6:1.

ქალთა საერთაშორისო ტურნირებში ზედიზედ მერვე გამარჯვება მოიპოვა 17 წლის შტეფი გრაფმა (ისიც გფრ-იდანაა). ინგლისის ქალაქ ბრაიტონში გამართული ტურნირის ფინალში გრაფმა შვედ კატარინა ლინდკვისტს ადვილად აჯობა — 6:3, 6:3.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 29 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში—**9.00 (2);** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი — ნორვეგია (გადაცემა სიმფეროპოლიდან) —**20.00 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 29 ოქტომბერი.** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში: სსრ კავშირი — ნორვეგია (გადაცემა სიმფეროპოლიდან) — **20.00.**

**რედაქტორის მოადგილე**

**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი: 66483. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 05911.

ეროვნული ბიბლიოთეკა